საქართველოს საელჩო
ქ. ბრიუსელი
EMBASSY OF GEORGIA
BRUSSELS

32896-16-3-202009221940

№ 32896-16
22/09/2020

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ **ვახტანგ მახარობლიშვილს**

ასლი: ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორს
ქალბატონ სალომე შაფაქიძეს

ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის და სექტორული ინტეგრაციის
დეპარტამენტის დირექტორს **ბატონ დავით ბუჯიაშვილს**

ბატონო ვახტანგ,

გაცნობებთ, რომ 18 სექტემბერს ევროკავშირმა მიიღო გადაწყვეტილება ვაქცინების გლობალური წვდომის (COVAX) ფონდში ჩართვის თაობაზე. ფონდი მცირე და საშუალო შემოსავლის ქვეყნებისთვის ვაქცინების ხელმისაწვდომობას ისახავს მიზნად. ფონდში ევროკავშირი Team Europe-დან 230 მლნ. ევროს გადარიცხავს, რითაც 88 მლნ. ვაქცინის შესყიდვა იქნება შესაძლებელი. ვაქცინები Advanced Market Commitment (AMC)-ში ჩართულ ქვეყნებზე განაწილდება.

გარდა ამისა, ევროკავშირის ვაქცინების სტრატეგიის ფარგლებში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ვაქცინებით უზრუნველყოფის მიზნით ვაქცინების მწარმოებელ კომპანიებთან გაფორმებული წინასწარი კონტრაქტების დადებისას, გათვალისწინებულია, რომ წევრმა ქვეყნებმა შესაძლოა ვაქცინების ნაწილი გაუზიარონ მცირე და საშუალო შემოსავლის მქონე მესამე ქვეყნებს. წინასწარი კონტრაქტები ფორმდება 300 მლნ. ვაქცინაზე. ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს ვაქცინების საჭიროებების თაობაზე წევრი ქვეყნების ინფორმირება ორმხრივ დონეზეც.

ევროკომისიას წინასწარი კონტრაქტები გაფორმებული აქვს Sanofi-GSK-სთან და AstraZeneca-სთან. მოლაპარაკებებს აწარმოებს კომპანიებთან Johnson and Johnson, CureVac, Moderna და BioNTech. წინასწარი კონტრაქტები ევროკავშირის Emergency Support Instrument-დან ფინანსდება.

Rue Père Eudore Devroye, 245, 1150 Woluwe St.Pierre, Brussels
ტელ./Tel: +32 (2) 761 11 90; ფაქსი/Fax: ++ 32 (2) 761-11-99; ელ-ფოსტა/E-mail: geomission.eu@mfa.gov.ge

პატივისცემით,
ნატალი საბანაძე



საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი